საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის რაიონის პრეფექტურისა და რაიონული საკრებულოს ორგანო

№112 (6489) 28 ნოემბერი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

## პრეფექტურაში

## წესრიგის დაცვა ყველას საქმეა

დღეს რესპუბლიკაში რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებაა, რამაც ჩვენდა სამწუხაროდ კიდევ უფრო გაააქტიურა კრიმინოგენური ძალები, რომლებიც ცდილობენ დეზორგანიზაცია შეიტანონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ტელევიზიით ყოველ საღამოს გადმოიცემა მომხდარ დანაშაულობათა დღითიდღე მატების შესახებ, რაც ფართო საზოგადოებრიობის გულისწყრომას იწვევს.

რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს მიეძღვნა რაიონის პრეფექტურაში გამართული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები, აქტივი. თათბირს წარმართავდა რაიონის პრეფექტი ტარიელ ალავიძე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიონის პროკურორმა დ. სილაგაძემ, რაიონის ავტოინსპექტორმა რ. სალინაძემ, სამეურნეომათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ს. თვარაძემ, სასზამ სამართველოს უფროსმა ო. გიორგობიანმა, პრეფექტურის შრომისა და სოციალური საკითხების განყოფილების გამგემ გ. ბრეგვაძემ და სხვა.

თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში გაძლიერებულმა კრიმინალურმა მდგომარეობამ თავისი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს რაიონშიც. მნიშვნელოვნად გაიზარდა დანაშაულობათა რიცხვი. მარტო უკანასკნელ კვირაში სოფელ ჩხუტელში სამი ქურდობა მოხდა. მომხდარ დანაშაულთა აბსოლუტური უმრავლესობა გაუხსნელია. შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება ამჟამად უძლურია თავი გაართვას შექმნილ ვითარებას, რადგან განყოფილებას არ ჰყავს უფროსი, მისი მოადგილე, აკლია 8 ოფიცერი და რიგითები.

თათბირზე ხაზი გაესვა იმას, რომ საჭიროა საზოგადოებრიობა მხარში ამოუდგეს ადმინისტრაციულ ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. მეტი ყურადღება დაეთმოს პროფილაქტიკურ მუშაობას.

პრეფექტურის გადაწყვეტილებით შემოღებული იქნა რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამშრომელთა მორიგეობა ქალაქში. შედგა გრაფიკი და იგი თათბირზე გაეცნო ყველას. გამოითქვა აზრი, რომ კარგი იქნება, თუ დეპუტატებისა და სხვა აქტივის მორიგეობას შემოიღებენ რაიონის სოფლებში საკრებულოები.

## გავუფრთხილდეთ ელექტროენერგიას

იწურება შემოდგომა, სულ რამდენიმე დღეც და კალენდარული ზამთარი გვესტუმრება. როგორი იქნება იგი? ეს გამაფრთხილებელი კითხვა გვაწუხებს თითოეულ ჩვენგანს, რადგან ცენტრისაგან ეკონომიკურ ბლოკადაში მყოფი ჩვენი რესპუბლიკა უმძიმეს კრიზისს განიცდის, როგორც საკვები პროდუქტების, ასევე ელექტროენერგიის, გაზისა თუ სხვა საწვავ-სათბობი რესურსების მხრივ. ამ უმძიმესი მდგომარეობის გამო გვაწუხებს და გვაფორიაქებს კითხვა—ელექტროენერგიის მიწოდების მხრივ რა მდგომარეობა გვექნება მიმდინარე წლის ზამთარში?

მოგეხსენებათ, ზამთარი ის პერიოდია, როცა მკვეთრად იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება. სპეციალისტთა გაანგარიშებით ელექტროენერგიის ხარჯვა ზამთარში ზაფხულთან შედარებით 60-65 პროცენტით იზრდება, აქედან ლომის წილი მოსახლეობაზე მოდის, ამას ისიც ართულებს, რომ კომუნალურ მეურნეობათა საცხოვრებელი ბინები ზამთრის გათბობის მხრივ მოუწესრიგებელია, ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ელექტროენერგიის ყაირათიან გამოყენებას ენიჭება. შევიგნოთ შექმნილი სიტუაციის სიმძიმე და ერთხელ და სამუდამოდ ავილოთ ხელი თვითნაკეთი თუ ქარხნული წესით დამზადებული ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების გამოყენებაზე ოჯახებში, წარმოება-დაწესებულებებში. ერთი საათით ადრე სამუშაო დღის დაწყებასაც ხომ ის მნიშვნელობა აქვს, რომ გაიზარდოს დღის სინათლის გამოყენების შესაძლებლობა.

მართალია, ამჟამად რაიონის მოსახლეობა ლაჯანურჰესის ელექტროსადგურიდან იღებს ელექტროენერგიას. ასე რომ, ჩვენ საკუთარი მკვებავი გვყავს ამ მხრივ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ანგარიში არ გავუწიოთ რესპუბლიკაში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას და არ გავუფრთხილდეთ ელექტროენერგიას. სამწუხაროდ, არის იმის უამრავი ფაქტი, რომ ჩვენი მოსახლეობა თვითნებურად იყენებს ელექტროგამახურებლებს, თვითნაკეთ, კუსტარულ ხელსაწყოებს, რასაც ადასტურებს ის, რომ ჯერაც ზამთარი არ დამდგარა და ქალაქის № 1 ქვესადგური ორ კვირაში სამჯერ გადაიწვა, ორჯერ მოხდა საკაბელო სისტემის მწყობრიდან გამოსვლა. ვიდრე ტრანსფორმატორს ქალაქ ქუთაისში გადაიტანდნენ, გამოითიშა ქალაქში ელექტროდენი, სიძნელეები შეექმნა როგორც წარმოება-დაწესებულებებს, ასევე მოსახლეობას, ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა გონივრულად ჩავხედოთ რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას და იმას, რაც ჩვენზეა დამოკიდებული ძალით ნუ გავართულებთ. თვალში მოგვხვდეს და გულგრილად ნუ ჩავუვლით დღისით, მზისით ანთებულ ნათურას თუ ლამპიონს სახლში, დაწესებულებაში თუ ქუჩაში.

ეკონომიურად ვხარჯოთ ელექტროენერგია—ეს სადღეისო ამოცანაა.

## საქართველოს რესპუბლიკის ცაგერის რაიონის პრეფექტის

## განკარგულება

### რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმის“ შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 22 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად გაზეთი „ლეჩხუმი“ ცნობილი იქნეს ცაგერის პრეფექტურის და რაიონული საკრებულოს ორგანოდ.

ცაგერის რაიონის პრეფექტი ტ. ალავიძე

ცაგერი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის ცაგერის რაიონის პრეფექტის

## განკარგულება

### საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების ამოღების შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების ამოღების“ დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 4 ოქტომბრის №769 დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას (შემდგომში „საწარმოს“), საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმის, აგრეთვე უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ყოველთვიური სავალდებულო ანარიცხები შეაქვთ დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში (შემდგომში „დასაქმების ფონდი“).

ეს ანარიცხები, როგორც წესი, წარმოების შრომის ანაზღაურების სახსრებიდან (ყველა სახის პრემიისა და ერთდროული დახმარების გამოკლებით), შეიტანება პროდუქციის, (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულებაში, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის კი ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

საბიუჯეტო ორგანიზაციები ანარიცხებს შეიტანენ 1992 წლის 1 იანვრიდან.

ანარიცხების ნორმატივი დადგენილია 3 პროცენტის ოდენობით.

დადგენილ ვადებში გადაუხდელობისათვის დარიცხული საურავები ყოველი გადაცილებული დღისათვის 0,05 პროცენტის ოდენობით.

ცაგერის რაიონის აგრომრეწვბანკში იხსნება ანგარიში №001700379 „დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სახსრების შემოსულობანი“.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, ფირმები და კოოპერატივები ვალდებულნი არიან შენატანები გადარიცხონ თვეში ერთხელ იმ ვადებში, რომლებიც დადგენილია თვის ძეორე ნახევრის ხელფასის გასაცემად. აგრომრეწვბანკში თვის მეორე ნახევრის ხელფასის გაცემაზე დოკუმენტების წარდგენასთან ერთად, დასაქმების ფონდში გადასარიცხი თანხები აღირიცხება საწარმოების მიერ ახლად შემოსულ ანგარიშზე „ანგარიშსწორებანი დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდთან“ სახსრების ყველა სახეობის მიხედვით ცალკეულ სუბანგარიშებზე.

ანგარიშის კრედიტში „ანგარიშსწორებანი დასაქმების სახელმწიფო ფონდთან“ გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ფონდში გადასარიცხი თანხები, ხოლო დებეტში—ფაქტიური გადარიცხვები.

საწარმოები ყოველკვარტალურად ადგენენ საანგარიშსწორებო უწყისებს ორ ეგზემპლარად დასაქმების ფონდის სახსრების მიხედვით, რომლებშიც უჩვენებენ დარიცხულ და გადახდილ თანხებს.

საანგარიშსწორებო უწყისების ყველა ეგზემპლარს ხელს აწერენ საწარმოს ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი.

საანგარიშსწორებო უწყისის (ანგარიშგების) თითო პირს საწარმოები ყოველკვარტალურად, არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო თვის 8 რიცხვისა წარუდგენენ დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის რწმუნებულს. საანგარიშსწორებო უწყისის მეორე პირი რჩება გადამხდელის ბუღალტერიაში.

გამომდინარე აქედან:

1. დაევალოს რაიონის წარმოება დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოოპერატივების, ფირმების ხელმძღვანელებს—უზრუნველყონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 769 დადგენილების დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების ამოღების შესახებ დებულების პრაქტიკული განხორციელება.

2. დაევალოს ცაგერის აგრომრეწვბანკის ხელმძღვანელობას კონტროლზე აიყვანოს დასაქმების ფონდში ანარიცხების სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხვის საკითხი და საბანკო დაწესებულებებიდან შრომის ანაზღაურების სახსრები გაიცეს მხოლოდ დასაქმების ფონდში კუთვნილი ანარიცხების წინმსწრები ჩარიცხვის პირობებში.

3. დაევალოს ქუთაისის რეგიონალური ბირჟის ცაგერის წარმომადგენელს კონტროლი გაუწიოს რაიონის ტერიტორიაზე ანარიცხების ჩარიცხვის მდგომარეობას.

ცაგერის რაიონის პრეფექტი ტ. ალავიძე.

ცაგერი, 1991 წლის 26 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში

ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივმა საარჩევნო კომისიებმა გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახლის არჩევისათვის შექმნილ საარჩევნო უბნებს განუსაზღვრა კომისიის წევრთა შემადგენლობის რაოდენობა და საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების შესახებ კანონის 27-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად დაამტკიცა ამ კომისიების თავმჯდომარის მოადგილეები და ორ-ორი წევრი. ამასთან უზრუნველყო კომისიების მთლიანი შემადგენლობის დაკომპლექტება, რის შედეგად კომისიების შემადგენლობაში შევიდნენ:

**ზოგიშის საარჩევნო უბანში:**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**გოქაძე ელისო შოთას ასული,** ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ზოგიშში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ასათიანი ბეჟან გურგენის ძე,** ზოგიშის სოფლის მაღაზიის გამგე-გამყიდველი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ზოგიშში.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი—**ხვადაგიანი ნანა ანზორის ასული,** ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების ბუღალტერი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ზოგიშში.

**წევრები:**

**ლაკვეხელიანი მზია ჯუმბერის ასული**—ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების მოლარე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ზოგიშში.

**გოქაძე იური სტრიფონის ძე**—ალპანის უბნის ელმონტიორი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ზოგიშში.

**საირმის საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ჭოხონელიძე გურამ სევარიონის ძე,** საირმის ხილის დამზადების პუნქტის გამგე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ საირმეში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**სილაგაძე რეზო მიშას ძე**—საირმის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ საირმეში.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი—**ბურჯალიანი ბელა ბეგლარის ასული**, საირმის არასრული საშუალო სკოლის საქმის მწარმოებელი, მცხოვრები სოფელ საირმეში.

**წევრები:**

**ხუციძე მიმოზა ლავრენტის ასული**—საირმის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ საირმეში.

**ალავიძე ფრიდონ ქიშვარდის ძე**—ალპანის კოლმეურნეობის წევრი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ საირმეში.

**ლაილაშის საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ჩორგოლიანი ჯონი დავითის ძე,** ლაილაშის სოფლის ხილის დამამზადებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ლაილაშში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**გოქაძე ბადრი გურამის ძე**—ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ლაილაშში.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი—**მიქაძე ნატო ზურაბის ასული,** ლაილაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ლაილაშში.

**წევრები:**

**ჩარხიანი რეზო დადაშის ძე**—ლაილაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ლაილაშში.

**ლეშკაშელი ლერი ვარლამის ასული**—კავშირგაბმულობის ლაილაშის საფოსტო განყოფილების დამტარებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ლაილაშში.

**თაბორის საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ქარსელაძე ნანი აქვსენტის ასული,** თაბორის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ თაბორში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ქარსელაძე ლილი ნიკოლოზის ასული,**—უპარტიო, თაბორის ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ თაბორში.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი—**ქარსელაძე დარეჯან კონსტანტინეს ასული,** თაბორის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ თაბორში.

**წევრები:**

**ქარსელაძე ალექსანდრე ერასტის ძე**—თაბორის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ თაბორში.

**გოქაძე ჯუსტან სერგოს ძე**—ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ თაბორში.

**სურმუშის საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ობოლაძე თინა თომას ასული,** პენსიონერი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ სურმუშში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**კობერიძე მურმან გრიგოლის ძე,** სურმუშის მაღაზიის გამგე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ სურმუშში.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი—**კობერიძე დიანა გურამის ასული,** სურმუშის დაწყებითი სკოლის დამლაგებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ სურმუშში.

**წევრები:**

**ქარსელაძე გულნაზი ვლადიმერის ასული**—სურმუშის საფერშლო პუნქტის სანიტარი, უპარტიო მცხოვრები სოფელ სურმუშში.

**ჩარკვიანი ისკანდერ კოსტას ძე**—ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ სურმუშში.

**უსახელოს საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**გოლეთიანი გივი პავლეს ძე,** უპარტიო, უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ უსახელოში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ხეცურიანი აკაკი სამსონის ძე,** უპარტიო, უსახელოს მაღაზიის გამგე-გამყიდველი, მცხოვრები სოფელ უსახელოში.

კომისიის მდივანი—**ხეცურიანი თინა სემინარის ასული,** უპარტიო უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ უსახელოში.

**წევრები:**

**გოლეთიანი ნიკოლოზ გერასიმეს ძე,** უპარტიო, უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ხოჯში.

**ურთმელიძე დადაში ინდიკოს ძე,** უპარტიო, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ხოჯში.

**ლვირიშის საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ჩხეტიანი შოთა გიორგის ძე,** უპარტიო, ლვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ლვირიშში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ხეცურიანი ჯემალ ჯოკიას ძე,** უპარტიო, ლვირიშის სოფლის საკრებულოს მოლარე-მოანგარიშე, მცხოვრები სოფელ ლვირიშში.

კომისიის მდივანი—**ფრუიძე ლეილა გრიგოლის ასული,** უპარტიო, ლვირიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ლვირიშში.

**წევრები:**

**ახვლედიანი ცარო პარიმონის ასული,** უპარტიო, სოფელ ზედა ლვირიშის საფერშლო პუნქტის გამგე, მცხოვრები სოფელ ლვირიშში.

**გიორგობიანი ნორა ვლადიმერის ასული,** უპარტიო, ლვირიშის ფოსტის გამგე, მცხოვრები სოფელ ლვირიშში.

**უცხერის საარჩევო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ახვლედიანი ანზორ ანდროს ძე,** უპარტიო, ლვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ლვირიშში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ნემსწვერიძე ჟორა იაკობის ძე,** უპარტიო, ლვირიშის კოლმეურნეობის აგრონომი, მცხოვრები სოფელ უცხერში.

კომისიის მდივანი—**ტვილდიანი თამილა კოლიას ასული,** უპარტიო, ლვირიშის სოფლის საკრებულოს მოლარე, მცხოვრები სოფელ უცხერში.

**წევრები:**

**ნემსწვერიძე იზო სიმონის ასული,** უპარტიო, ლვირიშის კოლმეურნეობის მოლარე, მცხოვრები სოფელ უცხერში.

**ტვილდიანი ნაილი მიხეილის ასული,** უპარტიო, უცხერის საფერშლო პუნქტის მედდა, მცხოვრები სოფელ უცხერში.

**ნასპერის საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ხეცურიანი სოგრატ გრიგოლის ძე,** უპარტიო, ლვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ სანორჩში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ახვლედიანი შოთა ალექსანდრეს** ძე, უპარტიო, ნასპერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ნასპერში.

კომისიის მდივანი—**ფუტკარაძე ნანული კაპიტონის ასული,** უპარტიო, ნასპერის ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ ნასპერში.

**წევრები:**

**ქომეთიანი ნანული ალექსანდრეს ასული,** ლვირიშის ბიბლიოთეკის გამგე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ნასპერში.

**სვანიძე ასპირო ნესტორის ასული,** სანორჩის მაღაზიის გამგე-გამყიდველი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ სანორჩში.

**ნაკურალეშის საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ყურაშვილი ვაჟა სევარიონის ძე,** უპარტიო, ლვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ნაკურალეშში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ქომეთიანი გოგი სემინარის ძე,** უპარტიო, ნაკურალეშის ფოსტის დამტარებელი, მცხოვრები სოფელ ნაკურალეშში.

კომისიის მდივანი—**გვიშიანი ირმა ბიძინას ასული,** უპარტიო, ცხუკუშერის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ცხუკუშერში.

**წევრები:**

**ჩხეტიანი ქეთინო კუზიკოს ასული,** უპარტიო, დიასახლისი, მცხოვრები სოფელ ცხუკუშერში.

**სვანიძე ფოთოლა გიორგის ასული,** უპარტიო, ლვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ცხუკუშერში.

**ალვის საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ყურაშვილი ელგუჯა შოთას ძე,** უპარტიო, ალვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ალვში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ახვლედიანი ვალერი ჟორას ძე,** უპარტიო, კინომექანიკოსი, მცხოვრები სოფელ ალვში.

კომისიის მდივანი—**ჩხეტიანი ფატი ბორისის ასული,** უპარტიო, ალვის საფოსტო განყოფილების ელმონტიორი, მცხოვრები სოფელ ალვში.

**წევრები:**

**ირემაძე პასიკო ანდროს ასული** უპარტიო, მკერავი, მცხოვრები სოფელ ალვში.

**ჩხეტიანი ნუცა ათანასეს ასული,** უპარტიო, დეზინფექტორი, მცხოვრები სოფელ ალვში.

**დეხვირის საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ჭაბუკიანი აზა გრიგოლის ასული,** უპარტიო, დეხვირის სოფლის ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ დეხვირში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ხეცურიანი თამაზ შოთას ძე,** უპარტიო, დეხვირის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, მცხოვრები ქალაქ ცაგერში.

კომისიის მდივანი—**ჭაბუკიანი ნინო რაინდის ასული,** უპარტიო, დეხვირის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ დეხვირში

**წევრები:**

**ჭაბუკიანი რამაზ ჯუმბერის ძე,** უპარტიო, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ დეხვირში.

**ჭაბუკიანი დიომიდე სამსონის ძე,** უპარტიო, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ დეხვირში.

**მახაშის საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**გასვიანი ირინე შალვას ასული,** უპარტიო, მახაშის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ მახაშში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**მუშკუდიანი კობა ვაჟას ძე,** უპარტიო, მახაშის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ლასურიაშში.

კომისიის მდივანი—**კოპალიანი მარინე ომარის ასული,** უპარტიო, მახაშის სასოფლო კლუბის გამგე, მცხოვრები სოფელ მახაშში.

**წევრები:**

**ახვლედიანი ნუნუ გიორგის ასული,** უპარტიო, მახაშის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ლასურიაშში.

**ჭაბუკიანი ჩიტო ომარის ასული,** უპარტიო, მახაშის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ მახაშში.

**ქალაქ ცაგერის საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**სალინაძე რეზო ბიქტორის ძე,** უპარტიო, ცაგერის სატყეო მეურნეობის ოსტატი, მცხოვრები ქალაქ ცაგერში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**მანაგაძე ბიჭიკო ნარიმანის ძე,** უპარტიო, ღვინის ქარხნის მეღვინე-ტექნოლოგი, მცხოვრები ქვედა ცაგერში.

კომისიის მდივანი—**მეშველიანი მარიკა ჯიმშერის ასული,** უპარტიო, საგზაო სამმართველოს კადრების ინსპექტორი, მცხოვრები ქვედა ცაგერში.

**წევრები:**

**კოპალიანი მანანა შალვას ასული,** კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, უპარტიო, მცხოვრები ქ. ცაგერში.

**ნემსწვერიძე ციცო აპოლონის ასული,** უპარტიო, ცაგერის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები ქ. ცაგერში.

**ახვლედიანი მაყვალა ნოდარის ასული,** უპარტიო, ცაგერის საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის ბუღალტერი, მცხოვრები ქალაქ ცაგერში.

**ამბროლიანი მურთაზ ავერიონის ძე,** უპარტიო, ცაგერის კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატის ტექბიუროს უფროსი, მცხოვრები ქ. ცაგერში.

**ჰიდვარია გრიშა პავლეს ძე,** უპარტიო, ცაგერის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მეკუჭნავე.

**ლარცულიანი მერაბ ჟორას ძე** უპარტიო, ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ოსტატი მცხოვრები სოფელ ლარჩვალში.

**ყუბუსიძე გია გრიგოლის ძე,** უპარტიო, ცაგერის ბროფსასწავლებლის საწარმოო ოსტატი. მცხოვრები ქალაქ ცაგერში.

**ხეცურიანი ჟორა დიომიდეს ძე,** უპარტიო, გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციის ავტომანქანის მძღოლი. მცხოვრები ქ. ცაგერში.

**ლუხვანოს საარჩევნო უბანში**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ლეთოდიანი მაყვალა ვახილის ასული,** უპარტიო, ლუხვანოს საკრებულოს მთავარი ბუღალტერი, მცხოვრები სოფელ ლუხვანოში.

**დასასრული მე-3 გვერდზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში

(დასასრული)

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე— **ლეთოდიანი ნაზი ამბროსის ასული**, უპარტიო, ლუხვანოს ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ ზედა ლუხვანოში.

კომისიის მდივანი— **კოპალიანი ლენა აპოლონის ასული**, უპარტიო, ზედა ლუხვანოს სასოფლო კლუბის გამგე, მცხოვრები სოფელ ზედა ლუხვანოში.

**წევრები:**

**გოგიძე დარეჯან ნესტორის ასული**, უპარტიო, ზარაგულის ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ ზარაგულაში.

**სალინაძე ნაირა სამხონის ასული**, უპარტიო, ზედა ლუხვანოს საფერშლო პუნქტის გამგე, მცხოვრები სოფელ ზედა ლუხვანოში.

### წიფერჩის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ბენიძე ლეილა ივანეს ასული**, უპარტიო, წიფერჩის ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ ბარდნალაში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე— **ჩანქსელიანი ზურაბ ბაუჩის ძე**, უპარტიო, ბარდნალის საშუალო სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე, მცხოვრები სოფელ ბარდნალაში.

საარჩევნო კომისიის მდივანი— **ბენიძე მარინა კადრიბის ასული**, უპარტიო, ბარდნალის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ წიფერჩში.

**წევრები:**

**ცხვედიანი გიორგი ვალერიანის ძე**, უპარტიო, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ბარდნალაში.

**დავითულიანი ნატო ჯემალის ასული**, უპარტიო, ბარდნალის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ წიფერჩში.

### ჩქუმის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **მამარდაშვილი ნუგზარ იონას ძე**, უპარტიო, ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ჩქუმში.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **კოპალიანი პეტრე ვლადიმერის ძე**, უპარტიო, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ჩქუმში.

კომისიის მდივანი—**დავითულიანი მარინე რუბენის ასული**, უპარტიო, ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ჩქუმში.

**წევრები:**

**ლიპარტელიანი ნონა კაპიტოს ასული**, უპარტიო, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ჩქუმში.

**ბენდელიანი მაგული ჟორას ასული**, უპარტიო, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ჩქუმში.

### ზუბის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბენიძე ინეზა საშას ასული**, უპარტიო, ზუბის ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ ზუბში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე— **ომანაძე დალი ბიჭიკოს ასული**, უპარტიო, უსახელოურის მევენახეობის მეურნეობის მუშა, მცხოვრები სოფელ ზუბში.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი—**ჩაკვეტაძე დავით ამბაკოს ძე**, უპარტიო, ზუბის საფოსტო განყოფილების ტექნიკოსი, მცხოვრები სოფელ ზუბში.

**წევრები:**

**კოპალიანი კაკო ნესტორის ძე**, უპარტიო, ზუბის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ზუბში.

**გოლეთიანი ციცო იროდის ასული**, უპარტიო, ზუბის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ზუბში.

### მახურის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**მუშკუდიანი აპოლონ ერმილეს ძე**, უპარტიო, ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ მახურაში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე— **აკობიძე დემურ იასონის ძე**, უპარტიო, ჯაბელის მეცხოველეობის სამეურნეობათშორისო საწარმოს მუშა, მცხოვრები სოფელ მახურაში.

კომისიის მდივანი—**ამბროლიანი მურად ავერიონის ძე**, უპარტიო, ჯაბელის მეცხოველეობის სამეურნეობათშორისო საწარმოს მუშა, მცხოვრები სოფელ მახურაში.

**წევრები:**

**მინდაძე თენგიზ ომარის ძე**, უპარტიო, ჯაბელის მეურნეობის მუშა. მცხოვრები სოფელ მახურაში.

**ომანაძე აკაკი ბასილის ძე**, უპარტიო, ჯაბელის მეცხოველეობის სამეურნეობათშორისო საწარმოს მუშა, მცხოვრები სოფელ მახურაში.

### ტვიშის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ასათიანი გიორგი ეტიფანეს ძე**, უპარტიო, ტვიშის კოლმეურნეობის აგრონომი. მცხოვრები სოფელ ტვიშში.

ტვიშის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ყვირილიაში აზა ხარლამპის ასული**, ტვიშის სამეურნეო მაღაზიის გამყიდველი, უპარტიო. მცხოვრები სოფელ ტვიშში.

კომისიის მდივანი—**ასათიანი ნელი სამსონის ასული**, უპარტიო, ტვიშის ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ ტვიშში.

**წევრები:**

**ნემსწვერიძე ელენე იაშას ასული**, უპარტიო, ტვიშის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი, მცხოვრები სოფელ ტვიშში.

**ლაჭყეპიანი გული შალვას ასული**, უპარტიო, ტვიშის კოლმეურნეობის მოლარე, მცხოვრები სოფელ ტვიშში.

### ორხვის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**კენჭაძე შოთა თედორეს ძე**, უპარტიო, ორხვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ორხვში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე— **გაბიძაშვილი შალვა ბაგრატის ძე**, ორხვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო. მცხოვრები სოფელ ორხვში.

კომისიის მდივანი—**ბანძელაძე ლეილა ნიკანდროს ასული**, უპარტიო, ორხვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ორხვში.

**წევრები:**

**გაბიძაშვილი ომარი სანდროს ძე**, უპარტიო, ორხვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ორხვში.

**ახვლედიანი თამარ ზურაბის ასული**, უპარტიო, ორხვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ორხვში.

### ქვედა ცაგერის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**მიქაძე ნათელა გრიშას ასული**, ქვედა ცაგერის სოფლის საკრებულოს საქმეთა მმართველი, მცხოვრები ქ. ცაგერში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე— **ლიპარტელიანი აზა მურადის ასული**, უპარტიო, ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ქვ. ცაგერში.

კომისიის მდივანი— **კოპალიანი ნათელა შარდენის ასული**, უპარტიო, ქვედა ცაგერის კლუბის გამგე, მცხოვრები სოფელ ჭალისთავში.

**წევრები:**

**ხვადაგიანი ლალი დავითის ასული**, ცაგერის ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ მახაში.

**კვირკაშვილი მაია ანზორის ასული**, უპარტიო, ცაგერის რაიაბრეშუმის მოლარე, მცხოვრები სოფელ გვესოში.

### ჩხუტელის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**სილაგაძე ჯემალ ვასილის ძე**, უპარტიო, ჩხუტელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ჩხუტელში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე— **მეშველიანი მარინე ამბროსის ასული**, უპარტიო, ჩხუტელის კოლმეურნეობის ბუღალტერი, მცხოვრები სოფელ ჩხუტელში.

კომისიის მდივანი—**ჭიჭინაძე ციცო სამსონის ასული**, უპარტიო, ჩხუტელის საფერშლო პუნქტის მედდა, მცხოვრები სოფელ ჩხუტელში.

**წევრები:**

**სალინაძე ლარისა ბიკენტის ასული**, უპარტიო, ჩხუტელის საბავშვო ბაგა-ბაღის მედდა, მცხოვრები სოფელ ჩხუტელში.

**მეშველიანი გულო აკაკის ასული**, უპარტიო, ჩხუტელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ჩხუტელში.

### ოყურეშის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**მამარდაშვილი რომან ვლადიმერის ძე**, უპარტიო, ოყურეშის სოფლის საკრებულოს მოლარე-მოანგარიშე, მცხოვრები სოფელ ოყურეშში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე— **მამარდაშვილი ზურაბ ნოდარის ძე**, უპარტიო, უსახელოურის მევენახეობის მეურნეობის მუშა მცხოვრები სოფელ ოყურეშში.

კომისიის მდივანი—**ყურაშვილი მზია ვაგნერის ასული**, უპარტიო, ოყურეშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ოყურეშში.

**წევრები:**

**ეფაძე ჯამბულ რაუდენის ძე**, უპარტიო, ოყურეშის უბნის ელმონტიორი, მცხოვრები სოფელ ოყურეშში.

**ჩაკვეტაძე ეთერ ივანეს ასული**, უპარტიო, ოყურეშის საექიმო უბნის მედდა, მცხოვრები სოფელ ოყურეშში.

### ლაცორიის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**სილაგაძე ამბერკი მალაქის ძე**, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ლეშკედაში.

თავმჯდომარის მოადგილე— **ფუტკარაძე თამაზ გერონტის ძე**, უპარტიო, ლაცორიის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ლაცორიაში.

კომისიის მდივანი—**გოგებაშვილი ფერიდა მურმანის ასული**, უპარტიო, ლაჯანის კოლმეურნეობის მოანგარიშე, მცხოვრები სოფელ სპათაგორში.

**წევრები:**

**ნემსწვერიძე როლანდ შოთას ძე**—ლაჯანის კოლმეურნეობის მოანგარიშე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ლაცორიაში.

**ახვლედიანი ლეილა გელას ასული**—უპარტიო, ლაცორიის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ლაცორიაში.

**სილაგაძე იამზე კირილეს ასული**, უპარტიო, სპათაგორის კლუბის გამგე, მცხოვრები სოფელ ლაჯანაში.

**ლეშკაშელი ნესტორ იოსების ძე**, უპარტიო, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ სპათაგორში.

### წილამიერის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ლარცულიანი თინა კონსტანტინეს ასული**, ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ წილამიერში.

თავმჯდომარის მოადგილე— **ყიფიანი ვარდენ ალექსანდრეს ძე**, უპარტიო, ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ წილამიერში.

კომისიის მდივანი—**ბურჯალიანი ნიურა ამბროსის ასული**, უპარტიო, წილამიერის ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ წილამიერში.

**წევრები:**

**ყიფიანი ალექსანდრე ჭუჭას ძე**, უპარტიო, ორბელის კოლმეურნეობის ატომანქანის მძღოლი. მცხოვრები სოფელ წილამიერში.

**სილაგაძე ლენა აკაკის ასული**, უპარტიო, დიასახლისი, მცხოვრები სოფელ წილამიერში.

### ლაჯანის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ჩაჩხიანი ასმათ ჯუმბერის ასული**, უპარტიო, ლაჯანის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ლაჯანაში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე— **გურასაშვილი იზა გრიშას ასული**— ლაჯანის კოლმეურნეობის მოანგარიშე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ლაჯანაში.

კომისიის მდივანი—**სილაგაძე თინა თედორეს ასული**, უპარტიო, ლაჯანის კოლმეურნეობის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე, მცხოვრები სოფელ ლაჯანაში.

**წევრები:**

**ლეშკაშელი არსენ სამსონის ძე**— ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ლაჯანაში.

**დავითულიანი გია გურამის ძე**— ცაგერის საგზაო სამმართველოს გზის ოსტატი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ლაჯანაში.

**ჩაჩხიანი დავით არსენის ძე**, უპარტიო, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ლაჯანაში.

**მახარობლიძე დარეჯან რუბენის ასული**, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ლაჯანაში.

**მახარობლიძე ნატო კუჭიკოს ასული**, უპარტიო, სოფელ ლაჯანის ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ ლაჯანაში.

**ლეშკაშელი ნესტორ არსენის ძე**—უპარტიო, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ლაჯანაში.

### ორბელის საარჩევნო უბანში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ლეშკაშელი ია გერონტის ასული**, უპარტიო, ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ორბელში

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე— **ხუბუკელაშვილი ავდიდო არსენის ძე**, ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო მცხოვრები სოფელ ორბელში.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი—**ქლიბაძე ნანი ვაჟას ასული**, უპარტიო, ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ორბელში.

**წევრები:**

**გელოვანი ნაიბი ვალიკოს ძე**— ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ორბელში.

**მუკბანიანი ვლადიმერ ილიას ძე**, უპარტიო, ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ორბელში.

**სილაგაძე ირმა ბერგოს ასული**, უპარტიო, ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ორბელში.

**ბახსოლიანი გურგენ ვარლამის ძე**, უპარტიო, ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები სოფელ ორბელში.

**ლეშკაშელი ლილი გრიგოლის ასული**, უპარტიო, ორბელის ბიბლიოთეკის გამგე, მცხოვრები სოფელ ორბელში.

**მეგრელი ლილი ჯუმბერის ასული**, უპარტიო, ორბელის კოლმეურნეობის მოანგარიშე, მცხოვრები სოფელ ორბელში.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადება

ცაგერის №23 საგზაო სამმართველოსთან არსებული პროფკავშირული კლუბი აცხადებს 7-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვთა მიღებას ქორეოგრაფიულ სტუდიაში.

მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 2 დეკემბერს, დღის 3 საათზე, სწავლება ფასიანია.

**საგზაო სამმართველოს პროფკომიტეტი.**

---

მამა დომენტი, მეუღლე ხელი, შვილები ამირანი, მამუკა, ნინო, რძლები გულნაზი გოლეთიანი, მანანა ლარცულიანი, ქენია ხუციძე, ნუნუ ამბროლაძე, სიძეები ალეკო დვალი, შურა ონიანი, დისშვილები გია, გოჩა ონიანები, სიდედრი კატუშა გაფრინდაშვილი, ცოლისძმა ტარიელ ირემაძე, ცოლისდები ლამარა, ნათელა, ქვისლები მურმან ხეცურიანი, ანზორ ცხადიაშვილი, შვილიშვილები გულვერ, თამთა, ლევან, ლაშა გვიშიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გულვერ დომენტის ძე გვიშიანი**

დაკრძალვა 1 დეკემბერს, კვირას 15 საათზე სოფ. ორბელში.

---

მიშა უჩაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**შირმან მდივანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

კავშირგაბმულობის ორბელის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სულიკო გვიშიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედა ვერა, ძმა დავითი, რძალი ნარგიზი, დები თინა, ლენა, ლია, სიძეები არსენ ლეშკაშელი, ზურაბ ასათიანი, ძმისშვილები, დისშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სულიკო სამსონის ასული გვიშიანი**

დაკრძალვა 30 ნოემბერს, შაბათს, სოფ. ორბელში.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1967-1968 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი

**შირმან მდივანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

გელა მამარდაშვილი, მურთაზ ბურჯალიანი, რამაზ ახვლედიანი, შუქურა ყუბუსიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა, იური ჩხეტიანებს მამისა და სიმამრის

**აბესალომ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

სევარიონ, ტიტიკო, შოთა, სოსო კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან

**შირმან მდივნის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლვირიშის სოფლის საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ იური ხეცურიანს ბაბუის

**სერგო ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები დიდიმი, სულიკო, აზა, რძალი როზა, შვილიშვილები, ირინე, ნანა, სიძე უჩა წვერავა, შვილთაშვილი ანა, და მარო ბახსოლიანი, მაზლები დანიელ, ბენია ყურაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, მაზლისშვილები, მულისშვილები ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვერა ნესტორის ასული ჩიქოვანი-ყურაშვილი**

დაკრძალვა 3 დეკემბერს, სამშაბათს სოფ. სანორჩში. გამოსვენება 15 საათზე, ქ. ცაგერი დავით აღმაშენებლის ქ. №40-დან.

---

ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საბუღალტრო პროფილის 1975 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შირმან მდივანი**

---

ვეტსამკურნალოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა და იური ჩხეტიანებს მამისა და სიმამრის

**აბესალომ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო

---

თამაზ ყურაშვილი, სეთო ქომეთიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აბესალომ ყურაშვილი**

---

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**სულიკო გვიშიანი**

---

ორბელის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ნათელა სოფრომაძე თანაუგრძნობენ მამუკა სილაგაძეს ბაბუის

**თედორე სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ოთარ ყურაშვილი, დემურ, ჯუმბერ გოგიძეები, გივი, იმედა მეშველიანები, აბესალომ ლიპარტელიანი, რომან ბაქრაძე, ქორა შკუბულიანი, ოთარ თუთისანი, სკენდერ ონიანი თანაუგრძნობენ ოჯახს და ახლობლებს

**შირმან მდივნის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სანიტარულ-სპეციალური ავტომეურნეობის კოლექტივი თანაუგრძნობს ნათელა მდივანს მეუღლის

**შირმან მდივნის**

გარდაცვალების გამო.

---

შარდენ ახვლედიანი, კოლია გიორგობიანი, ბუჩუ, ჯუსტანი მახარობლიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ თინიკო და რამაზ მახარობლიძეებს მამისა და სიმამრის

**თედორე სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები რუბენ, გრიშა, ოთარ, გივი, ვალოდია ახვლედიანები, რძლები თამარი, ნინა, თამარი, დოდო, ნარგიზა, შვილიშვილები ნანული, ნინელი, დარეჯანი, მანანა, მარინე, მზია, ზამირი, მამუკა, ჭაბუკი, ბესიკი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იუსტი კოწიას ასული ყურაშვილი-ახვლედიანი**

დაკრძალვა 30 ნოემბერს, შაბათს სოფ. კენაშში.

---

მაგული სალიხაძე, ქენია ხეცურიანი, რუბენ კოპალიანი, ვალოდია თოდიძე ოჯახებით იუწყებიან

**სულიკო გვიშიანის**

გარდაცვალებას.

---

უახლოესი მეზობლები ოთარ ლიპარტელიანი, გრიშა ონიანი, თენგიზ - ხვადაგიანი, პოლიშკა, თამაზ თაგვაძეები, გოგი, ბეგლარ ნემსწვერიძეები, ნინა, ჯიბილო კოპალიანები, შურა, ნუშარ, დათო, თენგიზ, სეით, ლუბა ლეთოდიანები, თამაზ, შოთა, შერმადინ, შალვა, ფარსადან, ქორა, მერაბ სალინაძეები, ოთარ ფილიპეს ძე ლიპარტელიანი, მიხა, ვალერი, ერმალო ბენდელიანები, ბორის სვანიძე, ბიძინა გუგავა, სოსო შკუბულიანი, გელა ხაბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შირმან მდივანი**

---

ალპანის საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვიტალი ვალიკოს ძე ფრუიძე**

---

თემურ სილაგაძე, ზაირა ახვლედიანი, ჯონი მეგრელი, სულიკო ყურაშვილი, არჩილ სიბაშვილი, გოგი ჭაბუკიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა ყურაშვილს და იური ჩხეტიანს მამისა და სიმამრის

**აბესალომ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ანზორ, გიზო, გურამ მდივნები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შირმან მდივანი.**

---

ბიცოლა ნუცა, ბიძაშვილები მერხა, თამაზ, გივი, მანანა მდივნები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შირმან მდივანი.**

---

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ლუნა ქარსელაძე თანაუგრძნობენ ნინო მდივანს მამის

**შირმან მდივნის**

გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის ლაჯანის განყოფილების, რადიოსადგურისა და შემნახველი სალაროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია, არსენ ლეშკაშელებს

**სულიკო გვიშიანის**

გარდაცვალების გამო.

---

არსენ ლეშკაშელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**სულიკო გვიშიანი**

---

კავშირგაბმულობის ლვირიშის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ იური ხეცურიანს ბაბუის

**სერგო ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მარიამი, შვილები მალვინა, ანდრო, მანანა, რძალი ლეილა ჭანტურია, სიძეები ჯემალ მანდარია, იური ჩხეტიანი, ძმა ბიქტორი, და თინა, შვილიშვილები ნატო, ზვიადი, ბესიკი, გია, მარიკა, მამუკა, ცოლისდები ქეთო, ელისო, ქვისლები, კუჭიკო ყურაშვილი, ანზორ უგრეხელიძე, რძლები საშა, ცაცა ლიპარტელიანები, ზინა ბენიძე, ძმისშვილები, დისშვილებ ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აბესალომ თერაპოლის ძე ყურაშვილი**

დაკრძალვა 30 ნოემბერს, შაბათს, ქ. წყალტუბოში. გამოსვენება 9 აპრილის ქ. №26 4 საათზე.

---

ბიძა ნიკო ახვლედიანი, დეიდაშვილები ჯანიკო მანდარია, ილუშა მიქაბერიძე ოჯახებით იუწყებიან

**შირმან მდივნის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზაურ ომანაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**შირმან მდივანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ორბელის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი, რეზო ბურჯალიანებს სიძის

**ჟორა მამარდაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ქალები ახვლედიანი, ოტელო მდივანი, გენო დურჭუმალიძე, ჯემალ კოპალიანი, მიშა უგრეხელიძე, პლატონ ირემაძე, ზურაბ ხაბულიანი, სვეტა ჭილვარია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სულიკო სამსონის ასული გვიშიანი.**

---

სასტუმრო „ლეჩხუმის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ გივი მდივანს ბიძაშვილის

**შირმან მდივნის**

გარდაცვალების გამო.

---

ალექსანდრე დიმიტრის ძე ჩხეტიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**აბესალომ თერაპოლის ძე ყურაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი თანაუგრძნობს მანანა ყურაშვილს მამის

**აბესალომ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩხუტელის საშუალო სკოლის 1983 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ფატი ფრუიძეს მამის

**ჟორა მამედოვის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩხუტელის საშუალო სკოლის 1986 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ზაირა ფრუიძეს მამის

**ჟორა მამედოვის**

გარდაცვალების გამო.

---

იური, ლევან ახვლედიანები, მურთაზ კუხალაშვილი, იმედა მურცხვალაძე, თამაზ სიმონიშვილი, ზურა ელიაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შირმან მდივანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ნათელა, დედა ნინა, მამა სამსონი, [illegible] ნინო, ლაშა, [illegible] ბელა, ლალი, ძმისშვილი იმედა, დისშვილები დათო, გია, ნახა, ნათია, გიორგი, სიძეები ხუტა იოსელიანი, ამირან ელიანოვი, მამიდა, დეიდა, ბიძები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შირმან სამსონის ძე მდივანი**

დაკრძალვა 30 ნოემბერს, შაბათს ქ. ცაგერში. გამოსვენება სოფ. ქვედა ცაგერიდან.

---

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ მარიამ და ზინა ყურაშვილებს მეუღლისა და მაზლის

**აბესალომ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ, ზურაბ, თამაზ, გოგი, თენგიზ მდივნები, სოსო ჩარკვიანი, ჯანიკო კვირკაშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შირმან მდივანი**

---

ლაილაშის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სულიკო და რომან ჩაჩხიანებს დედამთილისა და დედის

**გუგულა ჩაჩხიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამარ მახარობლიძეს ძმის

**კოწია დავითულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები თამაზ, თენგიზ ბახსოლიანები, არსენ მეგრელი, ოთარ, ბიჭიკო, იუზა, ვასილ, გურამ გვიშიანები, თამარ სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან

**გულვერ დომენტის ძე გვიშიანის**

გარდაცვალებას.

---

ქორა, მერაბ, მარინე ახვლედიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შირმან მდივანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ხათუნა, ხვიჩა ბენდელიანები თანაუგრძნობენ ფატი ფრუიძეს მამის

**ჟორა მამედოვის**

გარდაცვალების გამო.

---

№91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობის I კურსის მოსწავლეები, ჯგუფის ოსტატი და დამრიგებელი თანაუგრძნობენ კობა მდივანს მამის

**შირმან მდივნის**

გარდაცვალების გამო.

---

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის და საფინანსო განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე განყოფილების თანამშრომელი

**შირმან სამსონის ძე მდივანი**

---

რეზო, ქორა ლეთოდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შირმან მდივანი**

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.